ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი№2

ქ. ბათუმი **20 თებერვალი, 2017 წელი.**

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა **ხვიჩა კიკილაშვილი,** ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მ/შ, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1.საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ნუგზარ მგელაძე** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ხულოს მაგისტრატი მოსამართლე.

2. **ლეილა გურგუჩიანი** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მაგისტრატი მოსამართლე-საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

4. **რუსუდან ბერიძე** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერი - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

არ გამოცხადდნენ კომისიის შემდეგი წევრები:

ადამ მახარაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

ქეთევან თხელიძე - ზესტაფონის რაიონული სასამართლოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ვაკანტურ თანამდებობებზე შემოსული განაცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და შემდეგ (გასაუბრების) ეტაპზე გადასულ კანდიდატთა განსაზღვრა.

2. კონკურსის ჩატარების თარიღის განსაზღვრა.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ხვიჩა კიკილაშვილის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში 2017 წლის 7 თებერვალს, გამოცხადებული კონკურსის თაობაზე საჯარო სამსახურის ვებ გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით თარჯიმნის ვაკანტურ თანამდებობებზე სულ შემოვიდა 3 (სამი) განაცხადი (აპლიკაცია), მათგან:

წარმოდგენილი განაცხადიდან დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება - 2 განაცხადი, მათგან:

1. გიორგი კახაძე - არა აქვს წარმოდგენილი უცხო ენის სპეციალობის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. მაია ცენტერაძე - არა აქვს წარმოდგენილი უცხო ენის სპეციალობის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადაყვანილი უნდა იქნენ კანდიდატები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, ესენია:

1. დალილა მაკალათია

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა ვაკანტურ თანამდებობებზე შემოსული განაცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და კონკურსის ჩატარების თარიღის განსაზღვრის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპი (გასაუბრება) დაინიშნოს 2017 წლის 24 თებერვალს 18:00 საათზე
2. გასაუბრებაზე გამოძახებულ იქნენ:

I. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თარჯიმნის ვაკანსიაზე:

1. დალილა მაკალათია

კომისიის თავმჯდომარე:

ხვიჩა კიკილაშვილი -

თავმჯდომარის მოადგილე:

ნუგზარ მგელაძე -

კომისიის წევრი:

ლეილა გურგუჩიანი

კომისიის წევრი:

რუსუდან ბერიძე